# CCIIR

# წლიური ანგარიში 2020

WWW.CCIIR.GE
FB/CCIIR
INFO@CCIIR.GE

## ჩვენ შესახებ

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR არასამთავრობო (NGO) კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაარსდა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტებს განათლების მიმართულებით, შეისწავლის განათლების სისტემაში/სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.
ორგანიზაციის მისიაა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, მათში სახელმწიფო ენის განვითარებას, მათ სამოქალაქო განათლებასა და ჩართულობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

CCIIR- ის საქმიანობა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

➢ განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი -ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს თვისებრივ  კვლევებსა და უწყვეტ მონიტორინგს, უზრუნველყოფს დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დამპოლიტიკის შემქმნელებთან.

➢ მულტილინგვური/მულტიკულტურული განათლება - ორგანიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საქართველოში მრავალფეროვან გარემოზე, უზრუნველყოფს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას; მონაწილეობს მულტიკულტურული განათლების პროგრამების, მრავალფეროვნების სწავლების კურიკულუმების შექმნასა და  დანერგვაში უმაღლეს სასწავლებლებში.

➢ წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება - ამ მიმართულებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას დონეებად დაყოფილი საკითხავი ტექსტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო/მეთოდოლოგიური რესურსების შექმნით.

➢ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება - ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების ბილინგვურ სკოლებში.

➢ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება-ამ მიმართულებით ორგანიზაცია ატარებს ტრენინგ-სემინარებსა და ვორქშოფებს ბილინგვური სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებში, უზრუნველყოფს ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშემწყობი პედაგოგიური მიდგომების განვითარებას.

➢ პუბლიკაციების გამოცემა -ორგანიზაცია გამოსცემს პოლიტიკის დოკუმენტებს/კვლევის ანგარიშებს, ბილინგვურ საგანმანათლებლო დამმეთოდოლოგიური რესურსებს, ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს და სხვ.

# პროექტები


ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა (PITA) 3

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის ორენოვანი სწავლა - სწავლების დანერგვის საშუალებით (OSGF) 6

საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების საშუალებით (OSCE) 8

დაწყებითი განათლების პროექტი “BEP” 11

# ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა (PITA)

## ძირითადი მიზნები და ამოცანები

**01.** მრავალფეროვნება საგანმანათლებლო დაწესებულებებში,

**02.** მრავალფეროვნების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**03.** მრავლაფეროვნების სწავლებისა და მართვის საკითხები

**04.** მრავალფეროვნების მართვის ზოგადი მიდგომებისა და ლოკალური საჭიროებების განსაზღვრა

**05.** მრავალფეროვნების ასახვა , ინტერკულტურული მიდგომების დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში

**06.** ეთნიკური უმცირესობებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა

**07.** სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის გაზრდა

**08.** სტუდენტებში მულტიკურლტურულ გარემოში თანაცხოვრების, განსხვავებული ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება;

**09.** არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის დაუფლების პროცესში ხელშეწყობა არაფორმარული განათლების გზით

# აქტივობები

- 13 ონლაინ ტრენინგი
  593 ბენეფიციარი
- 8 სასწავლო შეხვედრა
  586 ბენეფიციარი
- 15 საინფორმაციო შეხვედრა
  798 ბენეფიციარი
- 6 სამუშაო შეხვედრა
  1020 ბენეფიციარი
- 5 კამპანია
  738 მონაწილე
- 2 კვლევის პრეზენტაცია
  600 მონაწილე
- 1 რეგიონთაშორისი გაცვლითი პროექტი
  43 ბენეფიციარი
- 6 საჯარო ლექცია
  402 მონაწილე

# დეტალური აღწერა

01 ორდღიანი ვორქშოპი უნივერსიტეტთაშორისი ქსელის პარტნიორი უნივერსიტეტების ლექტორებისათვის.

02 ტრენინგი სასწავლო პროცესში moodle-ის პლატფორმის აქტიურად გამოყენების შესახებ.

03 კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაშისაშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების შესწავლას ეხებოდა 2009-2019 წლების პერსპექტივაში.

04 გზამკვლევი ლექტორ-მასწავლებლებისათვის თემაზე „შეფასება საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლების პროცესში“.

05 ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში.



# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებში

თბილისი, 2020

ნათია გორგაძე

# შეფასება საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლების პროცესში

## გზამკვლევი ლექტორ-მასწავლებლებისათვის

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი

2020

# სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის ორენოვანი სწავლა - სწავლების დანერგვის საშუალებით (OSGF)

პროექტი ქვემო ქართლის რეგიონში მარნეულის, გარდაბნის, დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების 6 სოფელსა და ქალაქს, შვიდ სამიზნე სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებას მოიცავდა.

შექმნილი საგანმანათლებლო რესურსებით 400-ზე მეტი სკოლამდელი ასაკის ბავშვი შეძლებს სრულად ისარგებლოს მომავალი სასწავლო წლიდან.



→ მომზადდა და საპილოტე ბაღებს გადაეცა ვიზუალური მასალები: თემატური პოსტერები და სასწავლო ბარათები. აგრეთვე შეიქმნა საგანმანათლებლო აუდიო და ვიდეო რესურსები

→ შექმნილი საგანმანათლებლო რესურსებით 400-ზე მეტი სკოლამდელი ასაკის ბავშვი შეძლებს სრულად ისარგებლოს.




ბილინგვური
განათლების
შეფასების გზამკვლევი
საბავშვო ბაღებისათვის

# საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების საშუალებით (OSCE)

ვებგვერდზე განთავსებულია ბოლო ორი წლის განმავლობაში სპეციალურად შექმნილი საგანმანათლებლო რესურსები სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურისთვის.

**WWW.CLIL.GE**

# დაწყებითი განათლების პროექტი “BEP”

დაწყებითი საფეხურის და მშობლიური ენისა მასწავლებლების ტრენინგი მშობლიური ენის წიგნიერებაში.

01 **საოპერაციო რეგიონი, ქალაქი**

სამცხე-ჯავახეთი (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე); ქვემო ქართლი (მარნეული)

02 **ტრენინგების რაოდენობა**

ჩატარდა 56 ტრენინგი

03 **მონაწილეთა რაოდენობა**

ტრენინგი გაიარა 2659-მა დაწყებითი და მშობლიური ენის მასწავლებელმა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

RTI INTERNATIONAL

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

OSCE

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

unag UN Association of Georgia

CENTER FOR CIVIL INTEGRATION AND INTER-ETHNIC RELATIONS

CCIIR